პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (37) 31 ივლისი 1951 წელი

## შინაარსი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

39. მახარაძის რაიონის ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

40. ახმეტის, ბორჯომის, გორის, თიანეთის, საჩხერისა და ჩხოროწყუს რაიონების ზოგიერთი სოფლის გაუქმების შესახებ.

41. ახმეტის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

42. თეთრი წყაროს რაიონის მთიულეთის სასოფლო საბჭოდან სოფელ გოლთეთის გამოყოფისა და ჯორჯიაშვილის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

43. გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

44. ბოლნისის რაიონის ძველი ქვეშის სასოფლო საბჭოს გადარქმევისა და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

45. ქიათურის რაიონის ჩხირაულის სასოფლო საბჭოს გაუქმების შესახებ.

46. ბოგდანოვკის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

47. ქარელის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

48. ახალქალაქის რაიონის ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

49. თიანეთის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

50. დმანისის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

51. მარნეულის რაიონის დემურჩი-ასანლოს სასოფლო საბჭოს გადარქმევისა და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

## 39. მახარაძის რაიონის ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გაუქმდეს მახარაძის რაიონის ექადიის სასოფლო საბჭო და მიეკუთვნონ სოფელი ექადია და მუშათა დასახლების პუნქტი ანასეული მაკვანეთის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1951 წ. 5 ივნისი.

## 40. ახმეტის, ბორჯომის, გორის, თიანეთის, საჩხერისა და ჩხოროწყუს რაიონების ზოგიერთი სოფლის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ახმეტის, ბორჯომის, გორის, თიანეთის, საჩხერისა და ჩხოროწყუს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო შემდეგი სოფლების გაუქმების შესახებ:

**ახმეტის რაიონში:** ნასოფლარის, მუგუდოს, ბუხრების, ხველიანდროს, ოდლისის, აშროშანის, ხადორის, ხორაჯოს, ქორთაბუდის, ტოლოშისა და ჩხათანასი;

**ბორჯომის რაიონში:** ზორეთისა და ნეძვისა;

**გორის რაიონში:** ზემო ურიულის, ქვემო ურიულის, ფილათის, ხვნისა და ავაზნისა;

**თიანეთის რაიონში:** ბაჩალის, საშუბის, კორსავისა და სოფლიონისა;

**საჩხერის რაიონში:** გორაძირის, ქვედა ლიჩისა და უზუნთასი;

**ჩხოროწყუს რაიონში:** სოფელ ლექობალესი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1951 წ. 11 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**41. ახმეტის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოეყოს ახმეტის რაიონის მაღრაანის სასოფლო საბჭოს სოფელი ბაბანეური და მიეკუთვნოს ამავე რაიონის ქვემო ალვნის სასოფლო საბჭოს;

გამოეყოს ახმეტის სასოფლო საბჭოს სოფელი ხოვა, ხოლო ზემო ხოდაშნის სასოფლო საბჭოს სოფელი არაშენდა და მიეკუთვნონ ქისტაურის სასოფლო საბჭოს;

გამოეყოს ზემო ხოდაშნის სასოფლო საბჭოს სოფელი ჩაბინაანი და მიეკუთვნოს ოჟიოს სასოფლო საბჭოს;

გაერთიანდნენ ჯოყოლოს სასოფლო საბჭოს სოფლები დიდი დუმასტური და პატარა დუმასტური და ეწოდოს სოფელი დუმასტური;

გაერთიანდნენ დუისის სასოფლო საბჭოს სოფლები ზემო კუწახტა და ქვემო კუწახტა და ეწოდოს სოფელი კუწახტა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 13 ივნისი.

**42. თეთრი წყაროს რაიონის მთიულეთის სასოფლო საბჭოდან სოფელ გოლთეთის გამოყოფისა და ჯორჯიაშვილის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოეყოს თეთრი წყაროს რაიონის მთიულეთის სასოფლო საბჭოს სოფელი გოლთეთი და მიეკუთვნოს ამავე რაიონის ჯორჯიაშვილის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 13 ივნისი.

**43. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

გაზეთ „ნორჩი ლენინელის" 20 წლის თავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით გაზეთის რედაქციის განსაკუთრებით წარჩინებული მუშაკები:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. ბახტაძე გურამ პოლიკარპეს-ძე.
2. გაგლოევა ელენე მიხეილის ასული.
3. გადელია ნადეჟდა ანტონის ასული.
4. გამყრელიძე ნელი ირაკლის ასული.
5. გელიაშვილი თინათინ დავითის ასული.
6. დეკანოზიშვილი დიმიტრი თადეოზის-ძე.
7. დიდიმამიშვილი ელენე ზაქარიას ასული.
8. ნადარეიშვილი თინათინ არსენის ასული.
9. ქოქიაშვილი იოსებ ვლადიმერის-ძე.
10. ცერცვაძე ივანე ნიკოლოზის-ძე.
11. ჭიჭინაძე ლავრენტი ალმასხანის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

ქ. თბილისი.
1951 წ. 25 ივნისი.

**44. ბოლნისის რაიონის ძველი ქვეშის სასოფლო საბჭოს გადარქმევისა და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. ბოლნისის რაიონის ძველი ქვეშის სასოფლო საბჭოს შეეცვალოს სახელი და მისი ცენტრის სახელწოდების შესაბამისად ეწოდოს აკაურთის სასოფლო საბჭო.

2. გამოეყოს ქვემო ბოლნისის სასოფლო საბჭოს სოფელი ინჯა ოღლი და მიეკუთვნოს ბოლნისის სასოფლო საბჭოს.

3. გამოეყოს ქვემო ბოლნისის სასოფლო საბჭოს სოფელი მიგირლო, ხოლო იმირასანის სასოფლო საბჭოს სოფელი ჯაფარლო და მიეკუთვნოს ბოლნისის სადაბო საბჭოს.

4. გამოეყოს დარბაზის სასოფლო საბჭოს სოფელი ქვემო გულავერი და მიეკუთვნოს აკაურთის სასოფლო საბჭოს.

5. გამოეყოს ქვემო ბოლნისის სასოფლო საბჭოს სოფელი სარალარი და მიეკუთვნოს ქვეშის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 30 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**45. ჭიათურის რაიონის ჩხირაულის სასოფლო საბჭოს გაუქმების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გაუქმდეს ჭიათურის რაიონის ჩხირაულის სასოფლო საბჭო; მისი სოფლები ტყემლოვანა და პატარა ჩხირაული მიეკუთვნოს მანდაეთის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 30 ივნისი.

**46. ბოგდანოვკის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გამოეყოს ბოგდანოვკის რაიონის ხანჩალის სასოფლო საბჭოს სოფელი კათნატუ და მიეკუთვნოს ამავე რაიონის ხოჯაბეგის სასოფლო საბჭოს.
2. გამოეყოს ფარავნის სასოფლო საბჭოს სოფელი ვლადიმიროვკა და მიეკუთვნოს განძის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 7 ივლისი.

**47. ქარელის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გამოეყოს ქარელის რაიონის ავლევის სასოფლო საბჭოს სოფლები ატოცი და გულიკაანთუბანი და მიეკუთვნოს ამავე რაიონის აბანოს სასოფლო საბჭოს.
2. გამოეყოს დირბის სასოფლო საბჭოს სოფელი ღოღეთი და მიეკუთვნოს აბისის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 7 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 48. ახალქალაქის რაიონის ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს ახალქალაქის რაიონის მერენიის სასოფლო საბჭო და სოფლები მერენია, იხტილა და პატარა სამსარი მიეკუთვნოს ამავე რაიონის ბარალეთის სასოფლო საბჭოს, ხოლო სოფელი დიდი სამსარი—ალასტნის სასოფლო საბჭოს.

2. გაუქმდეს მარტუნის სასოფლო საბჭო და სოფლები მარტუნი, ხოსპიო და დიდი ხორენია მიეკუთვნოს კარტიკამის სასოფლო საბჭოს, ხოლო სოფელი მურჯახეთი—ახალქალაქის სასოფლო საბჭოს.

3. გამოეყოს არაკვის სასოფლო საბჭოს სოფლები მაჭატია, კორხი და თოთხამი, ხოლო კარტიკამის სასოფლო საბჭოს—სოფელი ოლავერდი და შეიქმნას მათგან მაჭატიის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მაჭატიაში.

4. გამოეყოს კოჩიოს სასოფლო საბჭოს სოფელი მოდეგა და მიეკუთვნოს აზავრეთის სასოფლო საბჭოს.

5. გამოეყოს ვაჩიანის სასოფლო საბჭოს სოფელი კიროვი, ხოლო კარტიკამის სასოფლო საბჭოს სოფელი გულიკამი და მიეკუთვოს ახალქალაქის სასოფლო საბჭოს.

6. გამოეყოს ახალქალაქის სასოფლო საბჭოს სოფელი ბავრა და მიეკუთვნოს კარტიკამის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 19 ივლისი.

## 49. თიანეთის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოეყოს თიანეთის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს სოფლები: დულუზაურები, კვერნაულა და სხლოვანი და მიეკუთვნოს ამავე რაიონის არტნის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1951 წ. 19 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**50. დმანისის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოეყოს დმანისის რაიონის საჯის სასოფლო საბჭოს სოფელი ბახჩალარი და მიეკუთვნოს ამავე რაიონის კიროვის სასოფლო საბჭოს.

გამოეყოს ირგანჩაის სასოფლო საბჭოს სოფელი ლენინო და მიეკუთვნოს ოროზმანის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1951 წ. 27 ივლისი.

**51. მარნეულის რაიონის დემურჩი-ასანლოს სასოფლო საბჭოს გადარქმევისა და ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

შეეცვალოს სახელი მარნეულის რაიონის დემურჩი-ასანლოს სასოფლო საბჭოს და ეწოდოს მას ქაფანახჩის სასოფლო საბჭო.

გამოეყოს შულავერის სასოფლო საბჭოს სოფელი ქვემო ყულარი და მიეკუთვნოს არაფლოს სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1951 წ. 27 ივლისი.